


საპენსიო რეფორმა - I ფაზა

რეფორმის მიმდინარეობის პირველი შეფასება 2017 წლის 27 სექტემბერს გაიმართა. სამთავრობო კვლევამ აჩვენა, რომ ამ ეტაპისთვის რეფორმის 38,8 % არის შესრულებული. კვლევის მიხედვით, შემუშავდა რეფორმის კონცეფცია, რომელიც მოიწონა მთავრობამ და რომელსაც სულ მალე მიეცემა კანონპროექტის სახე. უკვე განისაზღვრა საპენსიო სისტემის ფუნქციონირების წესები და მოხდა მარეგულირებელი ორგანოს იდენტიფიცირება. ასევე, შემუშავდა აქტივების მმართველი კომპანიების მიმართ მოთხოვნები

რეფორმა: საპენსიო რეფორმა


მთავრობა, 2017 ფაზა 1



შემფასებელთა ჯგუფმა კი რეფორმას 10 მაქსიმალური ქულიდან 3,97 დაუწერა.

რეფორმა: საპენსიო რეფორმა

დაინტერესებული პირი, 2017 ფაზა 1



შემფასებელთა ჯგუფის შეხვედრაზე, რომელსაც სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, გაზი გაესვა იმას, რომ რეფორმის კონცეფცია უკვე მრავალჯერ შეიცვალა და მათთვის ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რას ითვალისწინებს კერძო დაგროვებითი სისტემა და სოციალური პენსიის ინდექსაცია. ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით კი, შესაბამისი კანონპროექტის გამოქვეყნება ოქტომბრის პირველ კვირაში იგეგმება.

შეხვედრაზე გაიჟღერა რამდენიმე მნიშვნელოვანმა მოსაზრებამ, რომელიც რეფორმის მიმდინარეობას უკავშირდება, კერძოდ:

§ პროფკავშირების წარმომადგენლის აზრით, თუ საპენსიო რეფორმის მიზანი სიღარიბის შემცირებაა, მაშინ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ პენსიას, რადგან დაგროვებით სისტემაში მონაწილეობას, არაფორმალური დასაქმების გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ შეძლებს. რეფორმის კონცეფციით გათვალისწინებული ინდექსაციის გეგმა მისასალმებელია, თუმცა მისი მიზმა მხოლოდ ინფლაციასთან ვერ მოემსახურება მთავარ მიზანს. მათი აზრით, სიღარიბის შემცირება ჩანაცვლების კოეფიციენტის ეტაპობრივი ზრდით მიიღწევა, ხოლო მხოლოდ ინფლაციასთან ინდექსირება კი, ჩანაცვლების ისედაც დაბალ, 18 %-იან მაჩვენებლს დროთა განმავლობაში კიდევ უფრო შეამცირებს. ამიტომ, ინდექსაციის სხვა საშუალებები უნდა გამოიყენოს მთავრობამ

§ იგივე საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა ეჭვი იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურია საარსებო მინიმუმი და მისი გაანგარიშების წესი მაშინ, როცა სოციალური პენსიის დაკავშირება ამ უკანასკნელთან შეიძლება მოხდეს. როგორც მინიმუმ, აუცილებელია მეთოდოლოგიაში ცვლილებები, სამომხმარებლო კალათის შექმნა პენსიონერებისთვის და ამ ჯგუფისთვის ინფლაციის დაანგარიშება ცალკე.

§ გამოითქვა უკმაყოფილება იმაზე, რომ რეფორმა ძალიან გაჭინაურდა დროში და საჭიროა დროული მოქმედებები, რათა ბიზნესსექტორი არ იყოს გაურკვევლობის რეჟიმში. რეფორმის კონცეფციის ხშირი ცვლა არაპროგნოზირებად გარემოს ქმნის.

§ კომუნიკაციის დონით კმაყოფილნი არ არიან აქტივების მმართველი კომპანიები და ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ დროულად მოხდეს მათი ინფორმირება ყველა ცვლილებასთან დაკავშირებით. ისინი შიშობენ, რომ თუ მათ მცირე მოსამზადებელი დრო მიეცათ, ვერ შეძლებენ ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობას.

§ გამოითქვა წუხილი იმაზეც, რომ ამჟამინდელი კანონდებლობით და საპენსიო რეფორმის კონცეფციითაც მკაცრად იკრძალება საპენსიო ფონდის აქტივების ინვესტირება ფონდთან და მის აქტივების მმართველ კომპანიებთან აფილირებული კომპანიების ფასიან ქაღალდებში, რაც პრობლემას ქმნის განუვითარებელი და მცირე მასშტაბის კაპიტალის ბაზრის პირობებში. სრული აკრძალვის ნაცვლად, სასურველია არსებობდეს ასეთ ინსტრუმენტებში ინვესტირებაზე ანგარიშგების და საჯაროობის მკაცრი ნორმები, აგრეთვე, კანონმდებლობით დაწესებული ინვესტირების მკაცრი ზღვრები.



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



Governing for
Growth
in Georgia

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a
Time

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



დღის წესრიგი

1. პროექტის აღწერა
2. რეფორმის მიმოხილვა
3. სამთავრობო კვლევა
4. ინდიკატორები
5. დისკუსია
6. შეფასება (ხმის მიცემა)

Agenda

1. Project description
2. Reform overview
3. Government survey
4. Indicators
5. Discussion
6. Assessment (scoring)

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



რეფორმები

ISET

- ეკონომიკური რეფორმების პროგრესის ანალიზი
- საზოგადოების ინფორმირება და მხარეებს შორის დებატების ხელშეწყობა
- ანგარიშვალდებულების გაზრდა და მთავრობას, კერძოს სექტორსა და საზოგადოებას შორის ნდობის ჩამოყალიბება

მმართველი საბჭო

მანდატი:

- რეფორმების შერჩევა და აღმასრულებელი გუნდის საქმიანობის განსაზღვრა
- თითოეული რეფორმის წილის განსაზღვრა საბოლოო შეფასებაში
- საუკეთესო რეფორმატორისა და საუკეთესო რეფორმის დასახელება
- შემფასებელთა ჯგუფის წევრების დასახელება და მათი შეხვედრის მოდერირება

აკადემიური წრეების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ავტორიტეტული წარმომადგენლები

მმართველი საბჭოს ხმის უფლების მქონე წევრები

- ბრუნო ბალვანერა
- ჟან-ფრედერიკ პოლსენი
- ლექსო ალექსიშვილი
- მარიამ მეღვინეთუხუცესი
- სარა უილიამსონი
- მაია მელიქიძე

Ex-officio წევრები

- ერიკ ლივინი
- ნატო ბერუაშვილი

რეფორმები

- | | | |
|--|-----------------------------|-------------------------|
| 1. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება | 3. კაპიტალის ბაზრის რეფორმა | 5. პროფესიული განათლება |
| 2. სოფლის მეურნეობის განვითარება | 4. საპენსიო რეფორმა | 6. ტურიზმის განვითარება |

<p>ნაბიჯი 1 <i>სამთავრობო კვლევა</i></p> <p>სპეციალური კითხვარის საშუალებით კონკრეტული რეფორმის გეგმის შესრულების შეფასება</p>	<p>ნაბიჯი 2 <i>ინდიკატორების ანალიზი</i></p> <p>კონკრეტული რეფორმის ინდიკატორების მონაცემთა შეგროვება და ანალიზი</p>	<p>ნაბიჯი 3 <i>შემფასებელთა ჯგუფის შეფასება</i></p> <p>რეფორმის ქულობრივი შეფასება (0...10) - ყველა ქულის საშუალო</p>	<p>ნაბიჯი 4 <i>PR აქტივობები</i></p> <p>ვებ-გვერდი/სოციალური მედია საჯარო პრეზენტაციები ნომინაცია/დაჯილდოვება ანგარიშები, დისკუსიები, ტრენინგები გამოქება მედიაში, ბეჭდვითი მასალები</p>
---	---	--	---





USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



Governing for
Growth
in Georgia

რეფორმის მიმოხილვა

საპენსიო რეფორმა

2017 - I

ReforMeter



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



საქართველოს საპენსიო რეფორმა

არსებული სოციალური საპენსიო
სისტემის მოდიფიკაცია და კერძო
დაგროვებითი საპენსიო სისტემის
დანერგვა



რეფორმის აუცილებლობა

- შეიცვალა საქართველოს დემოგრაფიული შემადგენლობა - მცირდება შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა
- არსებული პენსია წარმოადგენს სიღარიბესთან ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად გასათვალისწინებელია ქვეყანაში მიმდინარე ინფლაცია
- საპენსიო ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა - 2060: მშპ-ს 10%
- რათა პენსია იყოს პირდაპირპროპორციული ხელფასისა, საჭიროა დამატებითი დანაზოგების მექანიზმების შემუშავება
- გრძელვადიანი დანაზოგები ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას, კაპიტალის ბაზრის განვითარების მეშვეობით



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



რეფორმის ამოცანები

- სოციალური პენსიის მსყიდველუნარიანობის შენარჩუნება და გაუმჯობესება
- საპენსიო შემოსავლის თანაფარდობის ზრდა ხელფასთან მიმართებით
- სოციალური საპენსიო მოდელის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE




რეფორმის კონცეფცია

1. სოციალური პენსია, როგორც სიღარიბის შემცირების მექანიზმი
2. კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა, როგორც გრძელვადიან პერსპექტივაში დაგროვების სტიმულირებისა და საპენსიო შემოსავლის გაუმჯობესების მექანიზმი



სოციალური პენსიის ინდექსაცია


სოციალური პენსიის ხარჯები (მშპ % და საბიუჯეტო ხარჯები %) მშპ-ს %



ინფლაციასთან



კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემა





შენატანები

- გადახდის ვალდებულება:
 - დამსაქმებელზე: ხელფასის სახით გადახდილ 60.000 ლარის ოდენობის წლიური (ნაზარდი) შემოსავლის მიღწევამდე
 - დასაქმებულზე: თითოეული დამსაქმებლიდან ხელფასის სახით მიღებულ 60.000 ლარის ოდენობის წლიური (ნაზარდი) შემოსავლის მიღწევამდე
 - სახელმწიფოზე: დასაქმებულის მიერ ხელფასის სახით მიღებულ 60.000 ლარის ოდენობის წლიური შემოსავლის მიღწევამდე.



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



მმართველობა

- სსიპ საპენსიო სააგენტო:
 - სააგენტოს დირექტორი
 - სამეთვალყურეო საბჭო
 - საინვესტიციო საბჭო
 - უფროსი საინვესტიციო ოფიცერი
 - ეროვნული ბანკი - სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის პრუდენციული რეგულირება



საპენსიო აქტივების ინვესტირება

- საინვესტიციო საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო კლასის აქტივებში (ემიტენტები)
- ადგილობრივი კლასის აქტივებში:
 - ფულადი სახსრები
 - სამთავრობო ფასიანი ქაღალდები
 - საწარმოთა ფასიანი ქაღალდები



საპენსიო აქტივების ინვესტირება

შეზღუდვები:

- ფასიან ქალაქებში, რომლებიც არ არის ლისტინგში ან არ ივაჭრება საჯაროდ;
- ოფციონებში, ფიუჩერსულ, ფორვარდულ და ფასიან ქალაქებთან დაკავშირებულ სხვა ხელშეკრულებებში და ფინანსურ აქტივებში, გარდა ჰეჯირების სტრატეგიისთვის გამოსაყენებელი დერივატივებისა;
- უძრავ ქონებაში ან ფიზიკურ აქტივებში;
- აქტივების მმართველის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, საპენსიო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, საინვესტიციო საბჭოს წევრის ან მათთან აფილირებული პირის ნებისმიერ ქონებაში;
- ფასიანი ქალაქებში, რომლებიც გამოუშვა:
 - I. აქტივების მმართველმა, ან მასთან აფილირებულმა პირმა;
 - II. აქტივების მომსახურე სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა, ან მასთან აფილირებულმა პირმა;



პენსიის გაცემა საპენსიო ასაკში

- I. პროგრამული გაცემის გზით
- II. სადაზღვევო ანუიტეტის საშუალებით (კერძო სქემაში გადატანით)
- III. ერთიანი გაცემის გზით (ლიმიტირებულ შემთხვევებში), თუ:
 - მონაწილემ საპენსიო ასაკს მიაღწია არაუმეტეს ხუთი (5) წლის ფარგლებში საპენსიო შენატანების განხორციელების დაწყების თარიღიდან
 - მონაწილეს მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი
 - მონაწილე უარს ამბობს საქართველოს მოქალაქეობაზე
 - მონაწილის აქტივების მთლიანი მოცულობა არ აღემატება საპენსიო სააგენტოს მიერ დადგენილ ზედა ზღვარს



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



Governing for
Growth
in Georgia

სამთავრობო კვლევა Government Survey

საპენსიო რეფორმა

2017 - I

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time



რა არის სამთავრობო კვლევა?


სამთავრობო კვლევა – სპეციალური, შეთანხმებული კითხვარის საშუალებით ზომავს კონკრეტული რეფორმის გეგმის შესრულებას

სეგმენტი	აღწერა	აქტივობის მაგალითი	შედეგის მაგალითი
1. ინსტიტუციური მოწყობა	<ul style="list-style-type: none"> ფუნქციების განაწილება სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 	სტრატეგია	გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება
2. ადამიანური რესურსები	ადამიანური რესურსების მობილიზაცია და განვითარება	სააგენტოს ოპერაციონალარი მოწყობა	ტრენინგები
3. ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი	<ul style="list-style-type: none"> ბიუჯეტი შენობა და მოწყობილობები 	ბიუჯეტის მობილიზება	გრანტების გაცემა
4. კანონმდებლობა და რეგულაცია	საკანონმდებლო და რეგულატორული ჩარჩო	კანონმდებლობის ანალიზი	ახალი კანონი



რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით

ზოგადი შეფასება




38.8%

ინსტიტუციური
მონაცემები



14.5%

კომპეტენციის
გაძლიერება



50%

ინფრასტრუქტურა
და ბიუჯეტი



11.4%

სამართლებრივი
ჩარჩო



72.6%

0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა

100% - გეგმა სრულად შესრულდა



ინსტიტუციური მოწყობა

ინსტიტუციური
მოწყობა




14.5%

- შემუშავდა რეფორმის კონცეფცია:
 - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
 - ფინანსთა სამინისტრო;
 - ეროვნული ბანკი (მარეგულირებელი)
 - რეგულარული უწყებათშორისი შეხვედრები
 - პროცესშია საპენსიო ფონდის ორგანიზაციული სტრუქტურის და განვითარების სტრატეგიის შემუშავება
-
- საპენსიო ფონდი არ შექმნილა
 - კასტოდირან ბანკი არ შერჩეულა
 - აქტივების მმართველი კომპანიები არ შერჩეულა



კომპეტენციის გაძლიერება

კომპეტენციის
გაძლიერება



50%

- მოხდა საზოგადოებრივი ცნობიერების შესწავლა
- შემუშავდა კომუნიკაციის სტრატეგია
- პროცესშია საინფორმაციო მასალების მომზადება
- მზადდება საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანია



ინფრასტრუქტურა და ბიუჯეტი

ინფრასტრუქტურა
და ბიუჯეტი



11.4%

- კერძო საკენსიო სისტემის ამოქმედების შედეგად, ბიუჯეტს ხარჯი 90 მლნ ლარზე მეტით გაეზრდება
- დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი და დონორები
- ბიუჯეტი სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის თანხები მობილიზებულია

- ინფრასტრუქტურა ჯერ არ არსებობს: IT სისტემა, ვებ-გვერდი და ა.შ.



სამართლებრივი ჩარჩო

სამართლებრივი
ჩარჩო



72.6%

- რეფორმის კონცეფციური დოკუმენტი შეიქმნა და მთავრობის სხდომამ მოიწონა
- შემუშავდა საპენსიო ფონდის ფუნქციები და ვალდებულებები
- განისაზღვრა საპენსიო სისტემის ფუნქციონირების წესები
- შემუშავდა კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ კანონი და კანონპროექტი არაკომერციული საპენსიო ფონდის შესახებ
- მოხდა მარეგულირებელი ორგანოს იდენტიფიცირება
- შემუშავდა აქტივების მმართველი კომპანიების მიმართ მოთხოვნები



სამართლებრივი ჩარჩო

სამართლებრივი
ჩარჩო




72.6%

- პროცესშია რეგულირების მოთხოვნებისა და წესების შემუშავება
- პროცესშია საინვესტიციო პარამეტრებისა და რისკმენეჯმენტის მიმართ მოთხოვნების შემუშავება
- პროცესშია მარეგულირებელი ორგანოს დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებების იდენტიფიცირება
- არ შემუშავებულა სოციალური პენსიის ინდექსაციის მექანიზმი და შესაბამისი კანონი



რეფორმის შესრულება მთავრობის მიხედვით

ზოგადი შეფასება



0% - გეგმის შესრულება არ დაწყებულა

100% - გეგმა სრულად შესრულდა



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



Governing for
Growth
in Georgia

რეფორმის ინდიკატორები

საპენსიო რეფორმა


2017 - I

ReforMeter

Tracking Progress - One Reform at a Time




1. საბაზისო პენსია და საარსებო მინიმუმი (GEL)



წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო და საქსტატი




2. საპენსიო დანახარჯებისა და მთლიანი საგადასახადო შემოსავლების ფარდობა



წყარო: ფინ. სამინისტრო



3. ეროვნული დანაზოგების წილი მშპ-ში



წყარო: ფინ. სამინისტრო, საქსტატი, ეროვნული ბანკი



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



4. შრომითი ასაკის მქონე მოქალაქეები, რომელთაც საშუალება აქვთ გაწევრიანდნენ მეორე პილარში და მათი ჩართვის კოეფიციენტი
5. ნომინალური საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი საპენსიო აქტივებზე (Nominal weighted average Interest rate pension assets)
6. საპენსიო ფონდის მენეჯმენტის ხარჯის ფარდობა მთლიან აქტივებთან



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE



გმადლობთ!

პრეზენტაცია მომზადებულია

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ: reformeter@iset.ge